

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 9 4 5

ქ. ბათუმი, 25 ნოემბერი 2015 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ,
თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ და „დ.დ.“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №52 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 1300,0 (ერთი ათას სამასი) ლარის საერთო ღირებულების მქონე 130 კვ.მ. რომბის ფორმის ტროტუარის დეკორატიული ფილა და 340,0 (სამას ორმოცი) ლარის ღირებულების 2 ცალი გარე განათების დეკორატიული დურალუმინის ორსანათიანი ბოძი (შავი ფერის).

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს - მალხაზ დარჩიას.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი